ვამტკიცებ
წარმოების დირექტორი
მიწისქვეშა სამთო სამუშაოების დარგში
შპს „RMG Auramine“

_____ ვ. აბაშმაძე

„28“ 07 2026 წ.

შეთანხმებულია
მთავარი გეოლოგი
შპს „RMG Auramine“

_____ ნ. ტატუაშვილი

„28“ 07 2026 წ.

ტექნიკური სპეციფიკაცია

გეოლოგიური სინჯის მომზადების ლაბორატორიის ცენტრალიზებული ინდუსტრიული მტვრის გამწოვი სისტემის შესყიდვა

1. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე ტექნიკური სპეციფიკაცია განსაზღვრავს შპს „RMG Auramine“-ის ბერთაკარის საბადოს გეოლოგიური სინჯის მომზადების ლაბორატორიისათვის განკუთვნილი ინდუსტრიული მტვრის გამწოვი სისტემის მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს.

2. გამოყენების სფერო

სისტემა განკუთვნილი უნდა იყოს გეოლოგიური სინჯის მომზადების ლაბორატორიის სამუშაო სივრცეში წარმოქმნილი ქვისა და მინერალური მტვრის ეფექტური შეკავებისა და ფილტრაციისათვის.

3. შესყიდვის შემადგენლობა

1. ინდუსტრიული მტვრის გამწოვი სისტემა;
2. სისტემის ექსპლუატაციისათვის საჭირო ყველა ძირითადი კომპონენტი.

4. დამკვეთისა და მომწოდებლის ვალდებულებები

4.1. დამკვეთის ვალდებულებები

1. სამონტაჟო ადგილის მომზადებას მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად;

2. სამონტაჟო ადგილამდე ელექტრო კვების მიყვანას;

3. სისტემის მუშაობისთვის საჭირო კუმშული ჰაერის მიწოდებას;

4. მონტაჟის პროცესში საჭირო დამხმარე პერსონალის უზრუნველყოფას;

5. საჭიროების შემთხვევაში ამწე ტექნიკის უზრუნველყოფას.

4.2. მომწოდებლის ვალდებულებები

1. სამონტაჟო ადგილისთვის საჭირო ტექნიკური მოთხოვნების, საინჟინრო პარამეტრების, ზომებისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციის დროული მიწოდება;

2. ტექნიკური პასპორტების, სამონტაჟო სქემებისა და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის დამკვეთისთვის დროული გადაცემა;

3. ინდუსტრიული მტვრის გამწოვი სისტემის სრული საინჟინრო პროექტირება;

4. სისტემის სრული კომპლექტაციის მიწოდება;

5. სისტემის სრული მონტაჟი;

6. სისტემის გამართვა, ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება;

7. ლაბორატორიის პერსონალის თეორიული და პრაქტიკული სწავლება სისტემის უსაფრთხო ექსპლუატაციის, გამოყენებისა და ტექნიკური მომსახურების საკითხებზე;

8. რეკომენდებული სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალისა და მათი მიწოდების ვადების წარმოდგენა;

9. საგარანტიო პერიოდში ტექნიკური მხარდაჭერისა და კონსულტაციის უზრუნველყოფა.

5. ტექნიკური მოთხოვნები

№	პარამეტრი	მოთხოვნა
1	სისტემის ტიპი	ცენტრალიზებული ინდუსტრიული მტვრის გამწოვი სისტემა
2	დანიშნულება	გეოლოგიური სინჯების მომზადებისას წარმოქმნილი ქვისა და მინერალური მტვრის შეკავება
3	საერთო წარმადობა	არანაკლებ 8000 მ³/სთ
4	ფილტრაციის სისტემა	კარტრიჯული ფილტრი ან ეკვივალენტური ტექნოლოგია, ავტომატური პულსური თვითწმენდის სისტემით, რომლის კონსტრუქცია უზრუნველყოფს ფილტრების ეფექტურ ჩამოცლასა და წმენდის მაღალ ეფექტურობას.
5	მუშაობის რეჟიმი	პერიოდული (Batch Operation)
6	ტექნიკური მომსახურება	ფილტრებსა და მომსახურების ზონებზე უსაფრთხო და მარტივი წვდომა.
7	კონსტრუქცია	მძიმე დატვირთვაზე გათვლილი სამრეწველო კონსტრუქცია.
8	მტვრის ტიპი	მშრალი, ძლიერ აბრაზიული მინერალური მტვერი.
9	ელექტრო კვება	380 V / 50 Hz / სამფაზიანი.
10	გარანტია	არანაკლებ 12 თვე.
11	შესაბამისობა სტანდარტებთან	CE სერტიფიკატი ან ეკვივალენტური შესაბამისობის დოკუმენტი.
12	უსაფრთხოების სისტემა	აუცილებელია.
13	ტექნიკური დოკუმენტაცია	ტექნიკური პასპორტი, ექსპლუატაციის ინსტრუქცია და შესაბამისობის სერტიფიკატები.
14	მდგომარეობა	ახალი, გამოუყენებელი და ქარხნული წარმოების.
15	მონტაჟის ადგილი	სისტემა უნდა იყოს განკუთვნილი გარე მონტაჟისთვის (Outdoor Installation).
16	ანტიკოროზიული დაცვა	ლითონის კონსტრუქცია უნდა იყოს დაცული ანტიკოროზიული საფარით და შეღებილი გარე პირობებში ექსპლუატაციისთვის განკუთვნილი სამრეწველო საღებავით.
17	გაწმენდილ ჰაერის ხარისხი	გაწმენდილ ჰაერში მტვრის ნარჩენი კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 20 მგ/მ³.

შეიმუშავა

სინჯის მომზადების ლაბორატორიის ხელმძღვანელი
შპს „RMG Auramine“

_____ ავთანდილ ვარძელაშვილი